გინდათ, მიგითითოთ მასზე, რითაც ალლაჰი შლის ცოდვებს და ამაღლებს საფეხურებით?

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «გინდათ, მიგითითოთ მასზე, რითაც ალლაჰი შლის ცოდვებს და ამაღლებს საფეხურებით?» მათ უპასუხეს: "დიახ, ო ალლაჰის შუამავალო". მან თქვა: «ეს არის მცირე განბანვის (ვუდუს) შესრულება სრულყოფილად, მიუხედავად სირთულეებისა, მრავალი ნაბიჯის გადადგმა მეჩეთებისკენ და შემდეგი ლოცვის მოლოდინი წინა ლოცვის შემდეგ. ეს არის თქვენთვის რიბატი».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიობა მას) ჰკითხა თავის საჰაბებს, სურდათ თუ არა, რომ მიეთითებინა მათთვის იმ საქმეებზე, რომლებიც იქნებოდა მათი ცოდვების მიტევების მიზეზი, და წაშლიდა მას შენახული წიგნებიდან და აამაღლებდა სამოთხეში საფეხურებით? საჰაბებმა თქვეს, რომ მათ სურდათ ამის გაგება. მან თქვა: პირველი: აბდესის სრულად შესრულება მიუხედავად სიძნელეებისა, როგორიცაა სიცივე, წყლის სიმცირე, სხეულის ტკივილი ან ცხელი წყალი. მეორე: ასეთი საქციელი არის მრავალი ნაბიჯის გადადგმა მეჩეთისკენ, რაც განპირობებულია ადამიანის სახლის დაშორებით მეჩეთიდან და მისი ხშირი სიარულით იქ. მესამე: ლოცვის დროის მოლოდინი, გულით მისკენ ლტოლვა, მზადყოფნა მისთვის, მეჩეთში დაჯდომა ჯამაათთან (ერთობლივი ლოცვა) ლოცვის მოლოდინში. და როცა იგი ლოცვას დაასრულებს და სალოცავში ელოდება მეორე ლოცვას. ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ეს საქმეები წარმოადგენს ნამდვილ "მურააბიტს" (გუშაგობას). ეს იმიტომ, რომ ისინი ახშობენ ეშმაკის გზებს, რომლებიც გულისკენ მიემართებიან, ამარცხებენ სურვილებს და იცავენ სულს ცდუნებების მიღებისგან. ამგვარად, ალლაჰის მხარეთა ლაშქარი ამარცხებს ეშმაკის ჯარებს, რაც „დიდი ჯიჰადია“. ეს შეგვიძლია შევადაროთ მტრის საზღვარზე მეთვალყურეობას.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3574